

**სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის
დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება**

მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება აწესრიგებს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორიის) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პრინციპებსა და წესს.

მუხლი 2. დოქტორანტურა

- 2.1. დოქტორანტურა - უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური - წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და პედაგოგიური კომპონენტების ერთობლიობას, რომლის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და აკადემიური საქმიანობისთვის.
- 2.2. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. სასწავლო კომპონენტების მოცულობა არ აღემატება 60 ECTS კრედიტს.
- 2.3. დოქტორანტურაში სწავლა მთავრდება დისერტაციის დაცვით, რის შემდეგ დოქტორანტს ენიჭება: მუსიკოლოგიის, კომპოზიციის ან სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

- 3.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.
- 3.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება კონსერვატორიაში ხორციელდება სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს არსებულ ადამიანურ, ფინანსურ და კვლევით რესურსებს, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობას, ასევე დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგებს; ასევე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის გათვალისწინებით;
- 3.3. სადოქტორო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის კანდიდატი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგივე პირობები, რაც დადგენილია დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველისთვის.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (იხ. ბმული <https://tsc.edu.ge/sascavlo-gegmebi/>) მიღების წინაპირობები, წარმოსადგენილი დოკუმენტაცია და ვადები, აგრეთვე ინფორმაცია სადოქტორო პროგრამებისა და ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ, აისახება კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge (დოქტორანტების მიერ კვლევის

განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმები და სხვა ასპექტები იხ. მუხლი. 33);

4.1 . სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი (შემდგომში დოქტორანტობის კანდიდატი/აპლიკანტი) რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სარეგისტრაციო ელექტრონულ ფოსტაზე registration@tsc.edu.ge ვალდებულია წარმოადგინოს სარეგისტრაციო განცხადება (იხ. დანართი №1), რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV, იხ. დანართი №2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი, ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის. საზღვარგარეთ განათლებამიღებულ პირთათვის - შესაბამისი დიპლომის ასლი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

დ) უცხო ენის და/ან ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (დეტალებისთვის იხ. მუხლი 4.3.);

ე) ფოტოსურათი (ზომით 3 x 4) ელექტრონული (JPG) სახით;

ვ) მომავალი ხელმძღვანელის/ების თანხმობა და სადისერტაციო ნაშრომის სათაური (ივსება სარეგისტრაციო ფორმაში);

ზ) მუსიკოლოგიური კვლევებისა და კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში აპლიკანტმა ელექტრონული ფორმით უნდა წარმოადგინოს საპროექტო განაცხადი (იხ. დანართი №3.1 და №3.2);

თ) საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში აპლიკანტმა ელექტრონული ფორმით უნდა წარმოადგინოს: 1) საპროექტო განაცხადი (იხ. დანართი №3.3) და 2) შემოქმედებითი ტურში შესასრულებელი ნაწარმოებების ჩამონათვალი ქრონომეტრაჟის მითითებით;

ი) პორტფოლიო/გამოცდილება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება:

- მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ გამოქვეყნებული სულ მცირე ერთი სტატია, საკონფერენციო მოხსენების ტექსტი და/ან სწავლების წინა საფეხურზე მომზადებული რეფერატი (ასევე სერტიფიკატები, კონფერენციების პროგრამები, სტატიების სატიტულო გვერდები/ სარჩევი და ა.შ.).
- კომპოზიციის სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს: ნაწარმოებების ჩამონათვალი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მათ შორის, ორი საპრეზენტაციო ნაწარმოები (პარტიტურები, ანოტაცია, აუდიო-ვიდეო ფაილი), სერტიფიკატები, ჯილდოები, აფიშები, კონცერტების, კონფერენციის პროგრამები, პარტიტურები, სანოტო გამოცემების, სტატიის სატიტულო გვერდები და სარჩევი, აუდიო-ვიდეო მასალა და ა.შ.

- საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საკონცერტო/საშემსრულებლო აქტივობების დამადასტურებელი საბუთები (საკონცერტო პროგრამები, აფიშები, ჯილდოები, დიპლომები, სერტიფიკატები, დისკოგრაფიის სია, პრესა და ა.შ.).

კ) მისაღებ გამოცდებზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (იხ. ვებ. გვერდი www.tsc.edu.ge);

4.2 დამატებითი მოთხოვნა საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით: აპლიკანტმა აუცილებელია წარმოადგინოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი/ცნობა იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად არის შემოქმედებითი ტურზე წარმოდგენილი საგუნდო კოლექტივის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/დირიჟორი/ქორმაისტერი. წინააღმდეგ შემთხვევაში აპლიკანტი ტურზე არ დაიშვება.

4.3 დოქტორანტს მიღების დროს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერტიფიკატით.

4.3.1 . აღიარებას ექვემდებარება საერთაშორისო სერტიფიკატები, კერძოდ: TOEFL-ის, IELTS-ის, PTE General-ის, CAMBRIDGE FCE-ის, CPE-ის, CAE-ის, DELF/DALF-ის, ÖSD-ის, TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), GOETHE-ZERTIFIKAT, DELE (B2), eLADE (B2), CILS, CELI, PLIDA და სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - CERTUS.

4.3.2. უცხო ენის სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, იმ შემთხვევაში თუ სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამის სრული კურსი გავლილი აქვს რომელიმე უცხო ენაზე: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენაზე ან დაგროვებული აქვს არანაკლებ 60 ECTS უცხოეთში სწავლის პერიოდში. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.3.3. დოქტორანტობის კანდიდატმა, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4.4. მუსიკოლოგიური კვლევებისა და კომპოზიციის სადოქტორო პროგრამებზე მიღებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ აპლიკანტი დაიშვება გასაუბრებაზე. საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე მიღებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ აპლიკანტი დაიშვება შემოქმედებითი ტურზე, რომლის მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ გადის გასაუბრებაზე;

4.5 მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხორციელდება და სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი საპროექტო განაცხადის, სამეცნიერო სტატიის/რეფერატის, პრეზენტაციისა და გასაუბრების შეფასების საფუძველზე (იხ. დანართი №4.1);

4.6 . კომპოზიციის სადოქტორო პროგრამებზე მიღება ხორციელდება და სარეიტინგო ქულა განისაზღვრება გასაუბრების ფორმატში საპროექტო განაცხადისა და დოქტორანტის შემოქმედების პრეზენტაციის შეფასების საფუძველზე (იხ. დანართი №4.2);

4.7 . საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხორციელდება და სარეიტინგო ქულა განისაზღვრება შემოქმედებითი ტურისა და გასაუბრების ფორმატში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შეფასებების ჯამით (იხ. დანართი №4.3.1-4.3.8).

მუხლი 5. გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის კომისია და შეფასება

5.1. გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის კომისია

5.1.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატს გასაუბრებასა და საშემსრულებლო ტურზე აფასებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მიმღები დარგობრივი კომისია;

5.1.2. კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტების სულ მცირე 3 წევრისაგან, რომელთა შორის აუცილებელია მინიმუმ 1 კონკრეტული/ვიწრო პროფილის წარმომადგენელი. კომისიის წევრი შეიძლება იყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი. (დოქტორანტობის კანდიდატის მომავალი სამეცნიერო ხელმძღვანელი კომისიის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს);

5.2. კომისიის წევრთა საქმიანობა და უფლება-მოვალეობები

5.2.1. გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის კომისია ვალდებულია გაეცნოს დისერტანტობის კანდიდატის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ მასალას.

5.2.2. კომისიის წევრი დოქტორანტობის კანდიდატს აფასებს დადგენილი წესით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმებით (იხ. დანართი N4);

5.2.3. დოქტორანტობის კანდიდატის საბოლოო ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულით (მეთაქვადამდე დამრგვალებით). სადოქტორო პროგრამებზე საბოლოო შეფასება ხდება ასქულიანი სისტემით (დანართი N5.1, 5.2, 5.3);

5.2.4. თანაბარი საკონკურსო ქულების შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩაირიცხება ყველა თანაბარქულიანი აპლიკანტი.

5.2.5. კომისია ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი; სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის პრინციპები და კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები (იხ. ბმული <https://tsc.edu.ge/tsarmomadg-16-22-dadgenileba/>).

5.3. გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის შედეგებზე პრეტენზიის წარდგენა და განხილვა

5.3.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრებაზე/შემოქმედებითი ტურზე მიღებული შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საპრეტენზიო კომისიაში, შედეგების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში. (საპრეტენზიო კომისია არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის კომისიაში, იხ. მუხლი 5.1);

5.3.2. განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი განაცხადი/საპრეტენზიო განაცხადი (დანართი N6). განაცხადის შემოტანის უფლება აქვს დოქტორანტობის კანდიდატს ან მის კანონიერ წარმომადგენელს;

5.3.3. საპრეტენზიო კომისია განიხილავს დოქტორანტობის კანდიდატის განაცხადს, გასაუბრების /შემოქმედებითი ტურის ვიდეოჩანაწერს და საგამოცდო დოკუმენტაციას; გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით;

5.3.4. საპრეტენზიო განაცხადის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება კონსერვატორიაში შემდგომ გასაჩივრებას.

5.3.5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება განაცხადის/საპრეტენზიო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა; დოქტორანტობის კანდიდატს შედეგი ეგზავნება სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე.

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა

6.1 წინამდებარე დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფის პროექტის საფუძველზე კონსერვატორიის რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს კონკურსანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

6.2 რექტორის ბრძანებით ჩარიცხულ დოქტორანტებთან კონსერვატორია აფორმებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ.

6.3 დოქტორანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

6.4 სემესტრული რეგისტრაცია მოიცავს: ა) ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას; ბ) აკადემიურ რეგისტრაციას – შესაბამის სასწავლო და/ან შემოქმედებით-კვლევით კომპონენტებზე რეგისტრაციას;

მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

7.1 დოქტორანტს სტატუსი უჩერდება და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას თუ:

ა) არ გაივლის ადმინისტრაციულ/აკადემიურ რეგისტრაციას;

ბ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სახელზე წარმოადგენს პირად განცხადებას სტატუსის შეჩერების თაობაზე;

7.2 დოქტორანტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძველები განსაზღვრულია კონსერვატორიის შესაბამისი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით (იხ. ბმული https://drive.google.com/file/d/1mC8UMSbU-9KpZf2nCvE_IPV0h2tk3iYI/view).

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

8.1 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- დოქტორანტის მიერ სასწავლო, შემოქმედებითი და/ან კვლევითი გეგმის განსაზღვრულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში (იხ. 9.2. პუნქტი)
- სტატუსის შეწყვეტის თაობაზე პირადი განცხადების შემთხვევაში;

- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლის შემთხვევაში;
 - ერთი და იმავე სასწავლო კურსის მესამედ გავლის და კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში.
- 8.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დოქტორანტის სტატუსი დოქტორანტს შეუწყდება რექტორის აქტით, თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სადისერტაციო საბჭოს დამსწრე წევრთა მინიმუმ 2/3.
- 8.3 დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლები განსაზღვრულია კონსერვატორიის შესაბამისი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით (იხ. ბმული <https://docs.google.com/document/d/1kWHbtLYten51Oa5ReYneTxhlL0o261MM/edit>, <https://drive.google.com/file/d/1N7gh2ELYdif973RaSSdr1LJxw-D0Ckf8/view>, https://drive.google.com/file/d/1mC8UMSbU-9KpZf2nCvE_IPV0h2tk3iYI/view).

მუხლი 9. დოქტორანტურაში სწავლა

- 9.1 დოქტორანტურაში სწავლის ენა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით;
- 9.2 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 6 და არაუმეტეს 10 აქტიური სემესტრით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო საბუთების წარდგენა სადისერტაციო საბჭოში უნდა განხორციელდეს 12 სემესტრის ფარგლებში;
- 9.3 დოქტორანტურაში სწავლის პროცესი მოიცავს ა) სასწავლო კომპონენტსა და ბ) შემოქმედებით-კვლევით კომპონენტს, რაც დეტალურად განსაზღვრულია შესაბამისი სადოქტორო პროგრამით (იხ. <https://tsc.edu.ge/sascavlo-gegmebi/>);
- 9.4 დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის გავლის შემდეგ დოქტორანტის მიერ სწავლის და შემქმედებით-კვლევითი პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დამატებითი სემესტრის გააქტიურება ხდება დოქტორანტის განცხადების საფუძველზე.
- 9.5 დოქტორანტი, რომელიც შეასრულებს კვლევით კომპონენტს, სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების სრულად შესრულების შემდეგ, დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს წარადგენს შესაბამის მიმართულებაზე წინასწარი დაცვისთვის (იხ. მუხლი 19). მიმართულებაზე განხილვის და ვიზირების შემთხვევაში დოქტორანტი უფლებამოსილია სადისერტაციო საბჭოში წარადგინოს ნაშრომი დაცვის შემდგომი პროცედურებისთვის. დისერტაციის დაცვა წარმოებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით. დისერტაციის წარდგენა შესაძლებელია არაუადრეს მე-6 სემესტრისა.
- 9.6 დოქტორანტი შესაძლოა გათავისუფლდეს სასწავლო კომპონენტის რომელიმე სასწავლო კურსის გავლისგან შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში, თუ მას მოპოვებული აქვს კრედიტები სწავლის იმავე საფეხურზე, მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ეკვივალენტურ სასწავლო კურსებში, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. აღნიშნული უნდა გაფორმდეს კრედიტების აღიარების კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 10. მუსიკოლოგიური კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

- 10.1 მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების დახვეწა და ახალი ცოდნის შექმნა.

10.2 მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნას აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნებით (იხ. დანართი N7) და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 გვერდის (A4.) მოცულობის ვერბალურ ტექსტს მაგალითების გამოკლებით. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია).

10.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

ა) მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (ე.წ. peer-reviewed) (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings), რომლებიც ინდექსირებულია EBSCO-ს, Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის, Index Copernicus-ის ან სხვა სამეცნიერო ბაზებში.

მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

ბ) მინიმუმ სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას (რომელთაგან სულ მცირე ერთი მოხსენება წარდგენილ იქნება უცხოურ ენაზე).

10.4 დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ

- გამოცემულია შესაბამისი ჟურნალში/კრებულში/გამოცემაში, რაც დასტურდება ჟურნალის სარჩევში განთავსებული ავტორის გვართა და ნაშრომის სათაურით.
- წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა, რომ გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად.

10.5 სადისერტაციო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ.

მუხლი 11. საშემსრულებლო ხელოვნებისა და კომპოზიციის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტი

11.1 კონსერვატორიის საშემსრულებლო ხელოვნებისა და კომპოზიციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტი გულისხმობს ა) საშემსრულებლო/შემოქმედებით პრაქტიკასა და ბ) სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 70 გვერდის (A4) მოცულობის ვერბალურ ტექსტს მაგალითების გამოკლებით;

11.2 საშემსრულებლო/შემოქმედებითი პრაქტიკის მიზანია ახალი ცოდნის, ხედვისა და გამოცდილების განვითარება საგნობრივ სფეროში და მოიცავს დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად შესრულებულ აქტივობებს. საშემსრულებლო/შემოქმედებითი პრაქტიკა

შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ნაწილისაგან/კომპონენტისგან ან ნამუშევართა ერთობლიობისგან.

11.3 საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომი უნდა უკავშირდებოდეს იმ თემატიკას, რაც შერჩეულია საშემსრულებლო/შემოქმედებითი პრაქტიკის ფარგლებში.

11.4 კომპოზიციის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომი უნდა უკავშირდებოდეს იმ თემატიკას, რაც შერჩეულია საშემსრულებლო/შემოქმედებითი პრაქტიკის ფარგლებში.

11.5 სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას დოქტორანტმა უნდა იხელმძღვანელოს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით დანართი №7-ით განსაზღვრული მოთხოვნებით.

11.6 კომპოზიციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

- ა) მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ, ან რეფერირებად/რეცენზირებად (ე.წ. peer-reviewed) ჟურნალში (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings), რომლებიც ინდექსირებულია EBSCO-ს, Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის, Index Copernicus-ის ან სხვა სამეცნიერო ბაზებში.

მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

- ბ) დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ გამოცემულია შესაბამისი ჟურნალში/კრებულში/გამოცემაში, რაც დასტურდება ჟურნალის სარჩევში განთავსებული ავტორის გვართა და ნაშრომის სათაურით, ან წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა, რომ გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად.
- გ) სულ მცირე ერთი საავტორო კონცერტის გამართვას;
- დ) მინიმუმ სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას. (რომელთაგან სულ მცირე ერთი მოხსენება წარდგენილ იქნება უცხო ენაზე).

11.7 საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი კომპონენტის ფარგლებში სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

- ა) მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ, ან რეფერირებად/რეცენზირებად (ე.წ. peer-reviewed) ჟურნალში (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings), რომლებიც

ინდექსირებულია EBSCO-ს, Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის, Index Copernicus-ის ან სხვა სამეცნიერო ბაზებში. მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

- ბ) დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ გამოცემულია შესაბამის ჟურნალში/კრებულში/გამოცემაში, რაც დასტურდება ჟურნალის სარჩევში განთავსებული ავტორის გვართა და ნაშრომის სათაურით, ან წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა, რომ გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად;
- გ) სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სამი კონცერტის ჩატარებას;
- მინიმუმ ერთ საერთაშორისო შემოქმედებით აქტივობას: ან კონცერტის, ან ლექცია-სემინარის, ან მასტერკლასის ჩატარებას, ან საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენების წარდგენას და სხვა.

11.8 სადისერტაციო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის (იხ. მუხლი 21) მიერ.

მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი

12.1 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს სადოქტორო პროგრამას და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

12.2 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და იყოს უშუალოდ ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

12.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს მინიმუმ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში კონსერვატორიამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართვა კვლევაში (მათ შორის შესაძლებელია სხვა ან უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მოწვევა).
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

მუხლი 13. დოქტორანტის სამეცნიერო და შემოქმედებით/საშემსრულებლო ხელმძღვანელი

- 13.1 დოქტორანტის სამეცნიერო და შემოქმედებითი/საშემსრულებლო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კონსერვატორიის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სადისერტაციო საბჭოს მიერ მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, მათ შორის უცხოელი სპეციალისტი.
- 13.2 სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და/ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი და შესაბამისი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში ან საერთაშორისო შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკა ბოლო 3 წლის მანძილზე.
- 13.3 დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს სამეცნიერო და შემოქმედებით/საშემსრულებლო ხელმძღვანელი;
- 13.4 სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩატარების პროცესის მხარდაჭერას რეკომენდაციებისა და მითითებების სახით; ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს. ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უზრუნველყოფს კვლევის ეფექტურ წარმართვას, ატარებს კონსულტაციებს.
- 13.5 ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით სფეროში ინტეგრირების პროცესში.
- 13.6 სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო სამუშაოებში პლაგიატის პრევენციაზე.
- 13.7 სამეცნიერო ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, რომელიც უნდა მოიცავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს მოკლე დახასიათებას, ნაშრომის აქტუალობას, სამეცნიერო სიახლეს და მის პრაქტიკულ ღირებულებას, ნაშრომის შინაარსობრივ შესაბამისობას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან და შუამდგომლობას სადოქტორო ნაშრომის დაცვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.
- 13.8 სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დოქტორანტის სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება დაკმაყოფილდება დოქტორანტისათვის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნისთანავე.
- 13.9 დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი (ანუ, თანახელმძღვანელი). ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
- 13.10 თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში მისი უფლება-მოვალეობები დგინდება ინდივიდუალურად დოქტორანტის კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრულია პროგრამის აღწერილობაში.
- 13.11 განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე

დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

13.12 უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას (იხ. დანართი N8).

მუხლი 14. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის ცვლილება

14.1 სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების შემთხვევაში დოქტორანტი განცხადებით მიმართავს სადისერტაციო საბჭოს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე; ამავე გზით მოქმედებს სამეცნიერო ხელმძღვანელი მისი, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის ვალდებულებების გაუქმების შემთხვევაში.

14.2 სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში ახალი ხელმძღვანელის თანხმობისას სადისერტაციო თემა შეიძლება არ შეიცვალოს.

14.3 დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა და/ან დაზუსტდეს სათაური.

14.4 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელისა და ნაშრომის თემის ცვლილება, ასევე სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდების დაზუსტება ხდება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 15. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო გეგმა

15.1 დოქტორანტურაში ჩარიცხვისას სამეცნიერო და შესაბამის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებული კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ პირველ სემესტრში.

15.2 ინდივიდუალური კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო გეგმა დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე (იხ. დანართი N9.1).

17.1 დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად. დოქტორანტის კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო ინდივიდუალური გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის სახელწოდება, კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკი თავისი ხარჯთაღრიცხვით და დოქტორანტის მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის პრეზენტაციის/ანგარიშის ვადები.

17.2 საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში აისახება სადისერტაციო ნაშრომის განხორციელების გზები და ეტაპები, ასევე საკონცერტო/საშემსრულებლო აქტივობები სპეციალობაში;

17.3 კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო ინდივიდუალური გეგმაში აისახება სადისერტაციო ნაშრომის განხორციელების გზები და ეტაპები, ასევე შემოქმედებითი და კვლევითი აქტივობები.

მუხლი 16. დოქტორანტის კონსულტირება

16.1 სადისერტაციო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს აქვს უფლება ისარგებლოს სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის კონსულტაციებით.

16.2 კონსულტაცია - აქტივობა, რომელსაც უზრუნველყოფს დოქტორის ხარისხის მქონე პირი (არა სამეცნიერო ხელმძღვანელი) სტუდენტის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებში, რომელშიც სადისერტაციო თემის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დოქტორანტს ესაჭიროება დამატებითი სიღრმისეული ცოდნისა და უნარების შექმნა.

16.3 კონსულტანტი - კონსერვატორიის და/ან საქართველოს / უცხოეთის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს დისერტანტის საკვლევ თემასთან რელევანტურ შემოქმედებით, კვლევით და/ან პრაქტიკულ გამოცდილებას და დროებით უზრუნველყოფს დოქტორანტის კონსულტაციებს.

16.4 კონსულტანტად შესაძლოა განისაზღვროს პროფესიული ნიშნით შერჩეული კვალიფიციური პირი (კონსერვატორიის და/ან მოწვეული პერსონალი), რომლის კვალიფიკაცია დასტურდება გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით, შემოქმედებითი საქმიანობით ან/და პუბლიკაციებით.

16.5 თითოეული დოქტორანტი უფლებამოსილია ისარგებლოს კონსულტაციებით 3 აკადემიური წლის განმავლობაში, რომელთა საკონტაქტო საათების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს. საათების განაწილება დამოკიდებულია დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე და გაწერილი უნდა იყოს ინდივიდუალურ კვლევითი და შემოქმედებით/საშემსრულებლო გეგმაში.

16.6 კონსულტანტის დანიშვნის მიზნით დოქტორანტი განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, სადაც ასაბუთებს კონსულტანტის საჭიროებასა და აუცილებლობას.

16.7 ფაკულტეტის დეკანი, დოქტორანტის განაცხადისა და კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი საკონსულტაციო გეგმის (იხ. დანართი №9.2) საფუძველზე განიხილავს დოქტორანტის კონსულტანტის დანიშვნის საკითხს და ამზადებს შესაბამის სამართლებრივ აქტს მისი დოქტორანტთან მიმაგრების თაობაზე.

16.8 დოქტორანტი ვალდებულია კონსულტაციების დასრულების შემდეგ მოამზადოს და წარადგინოს შედეგების ანგარიში სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 17. დოქტორანტის ავტორეფერატი

17.1. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ქართულ ტექსტს და მის სრულ თარგმანს ინგლისურ ენაზე. ავტორეფერატის საერთო მოცულობა (თარგმანის ჩათვლით) უნდა იყოს

60-დან 70 გვერდამდე მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის სტუდენტის შემთხვევაში და 35-დან 45 გვერდამდე კომპოზიციისა და საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების შემთხვევაში.

17.2. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატში სრულად უნდა აისახოს თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, შედეგები და ნაშრომის მეცნიერული სიახლე. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის (მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე, სემინარებზე და ა.შ.), დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. დისერტაციის შინაარსი ავტორეფერატში გადმოცემულია თავების მიხედვით, აქვეა ზოგადი დასკვნები და ავტორის სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა.

17.3. ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას მაძიებელს უბრუნდება დისერტაცია. სადისერტაციო ნაშრომს შემდგომი მსვლელობა ეძლევა მხოლოდ არსებული ხარვეზების გასწორების შემდეგ.

მუხლი 18. წინასწარი დაცვა (აპრობაცია)

18.1. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინ ხდება მისი წინასწარი დაცვა (აპრობაცია) შესაბამისი მიმართულების სხდომაზე;

18.2 ნაშრომის წინასწარ დაცვა (აპრობაცია) ხორციელდება მას შემდეგ, რაც დოქტორანტი შეასრულებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის საშემსრულებლო/შემოქმედებით პრაქტიკულ სავალდებულო აქტივობებს (არსებობის შემთხვევაში).

18.3. მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული დისერტაციის რეცენზირებას ახდენს მიმართულების 2, ხოლო კომპოზიციისა და საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის ფარგლებში დამუშავებული თემის რეცენზირებას ახორციელებს 1 ექსპერტი.

18.4. წინასწარი დაცვის (აპრობაციის) წარმატებით გავლის შემდეგ დოქტორანტი ამზადებს ორენოვან (ქართულ ენაზე და ასევე, წინამდებარე დოკუმენტის მე-4 მუხლის 4.3 და 4.3.1 პუნქტში განსაზღვრულ ერთ-ერთ უცხო ენაზე) ავტორეფერატს;

18.5. შესაბამისი მიმართულების სხდომაზე დისერტაციის განხილვის ოქმში უნდა აისახოს:

- სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება, ხელმძღვანელი;
- როდის და რომელმა საბჭომ დაამტკიცა სადისერტაციო თემა (თარიღის და ოქმის ნომრის მითითებით);
- დისერტაციის თემის აქტუალობა, კვლევის მეცნიერული სიახლე, სანდოობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, სტრუქტურული გამართულობა და ტერმინოლოგიური სიზუსტე;
- გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების შესაბამისობა სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თემასთან.
- თუ დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია ერთობლივ შრომებში, დასკვნას უნდა ერთვოდეს ყოველი თანაავტორის წერილობითი თანხმობა;
- ნაშრომის დაცვაზე დაშვების, შესასწორებლად ან გადასამუშავებლად დოქტორანტისთვის უკან დაბრუნების, ან დაცვაზე უარის თქმის გადაწყვეტილება;

18.6. წინასწარ დაცვაზე რეცენზენტის/რეცენზენტების უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა ვადა პრინციპული შენიშვნების შესწორებისთვის და ხელმეორე აპრობაციისთვის; დოქტორანტს აქვს უფლება წინასწარ დაცვაზე გავიდეს არაუმეტეს 3-ჯერ.

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

19.1. სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მიზნით დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

- ავტობიოგრაფია (CV-ის სახით);
- განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ (განმცხადებლის ახსნა-განმარტებით იმის თაობაზე, რომ თემა მის მიერ არის შესრულებული და რომ ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული -დანართი N10);
- შესაბამის მიმართულებაზე წინასწარი დაცვის ფორმატში დისერტაციის განხილვის დასკვნა (ოქმი) დამტკიცებული მიმართულების ხელმძღვანელის მიერ და აპრობაციისთვის დაწერილი რეცენზია/რეცენზიები;
- ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ (მოპოვებული კრედიტების მითითებით);
- დისერტაციის თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/ების სია, პუბლიკაციების ასლები (თან ერთვის კრებულის თავფურცელი; გვერდი, სადაც მითითებულია კრებულის სარედაქციო კოლეგია, რეცენზენტი, გამომცემლობა, ISBN; სარჩევის მონაკვეთი, სადაც დაფიქსირებულია პუბლიკაციის ავტორი და სათაური).
- საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მომხსენებლად მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ: სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები).
- კომპოზიციისა სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში საავტორო კონცერტის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (აფიშა/პროგრამა/ჩანაწერი).
- საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში - საჯარო შემოქმედებითი აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბეჭდური/ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალა) მათ შორის საერთაშორისო აქტივობის.
- სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციას, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად. ასევე, იმის შესახებ, რომ ნაშრომი გატარებულია Turnitin-ის პროგრამაში და მასში არ ფიქსირდება აკადემიური გადაცდომა.
- Turnitin-ის პროგრამაში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- დისერტაციის 4 აკინძული ასლი ქართულ ენაზე და ავტორეფერატის 4 აუკინძავი ასლი (ორენოვანი), დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიები ორივე ენაზე (Word-ისა და PDF ფაილის სახით) და დისერტაციის დანართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (თავფურცელის ფორმები იხ. დანართი N 11.1- 11.2).

19.2. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო საბჭოში წარდგენილი დისერტაციის და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში) იგზავნება სადისერტაციო საბჭოს წევრებთან,

სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელ კომისიასთან და კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში კონსერვატორიის ვებ-გვერდზე ავტორეფერატის ასატვირთად.

19.3. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო საბჭოში წარდგენილი დისერტაციის 1 ქართული და ავტორეფერატის 3 ცალი ბროშურა ბარდება კონსერვატორიის ბიბლიოთეკას მატერიალური სახით.

19.4. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისგან სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისაგან სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.

19.5. სადისერტაციო ნაშრომი და შესაბამისი დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს გადაეცემა შესაბამის მიმართულებაზე სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დაცვის (აპრობაციის) შემდეგ აკადემიური სემესტრის დასრულებამდე, ან მომდევნო სემესტრში.

19.6. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი სამი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას. მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი დოკუმენტების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს წევრებს წარუდგენს სავარაუდო სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი კომისიის წევრების ვინაობას და სთავაზობს დაცვის თარიღს. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მსჯელობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება გაფორმდება ოქმით.

19.7. იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრული პროცესი ემთხვევა სადისერტაციო საბჭოს სამუშაოებს პერიოდს, დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული სამუშაოები დაიწყება სადისერტაციო საბჭოს მუშაობის დაწყებისთანავე (იხ. მუხლი 22.5).

მუხლი 20. რეცენზენტი

20.1. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს სამდივნო სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად არჩევს 2 ფარულ რეცენზენტს, ადგილობრივს და საერთაშორისოს. იმ შემთხვევაში თუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან სწავლული მდივანი არის დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, არ მონაწილეობს რეცენზენტის შერჩევის პროცესში.

20.2. რეცენზენტი შეიძლება იყოს ადგილობრივი ან საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში შესრულებული აქვს ან მონაწილეობს- შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებში), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

20.3. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან სწავლული მდივანი;
- დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი ან მისი შემოქმედებითი პრაქტიკის თანამონაწილე;

- დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული ან დაინტერესებული პირი (ნათესავი).

20.4. სადისერტაციო საბჭოს სამდივნო რეცენზენტების დანიშნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარის გადაცემას ადგილობრივი რეცენზენტისთვის, ხოლო უცხოელ ექსპერტს უგზავნის ინგლისურ ვერსიას.

20.5. რეცენზენტი სადისერტაციო საბჭოს დასკვნას წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 1 თვის განმავლობაში.

20.6. რეცენზენტი სადისერტაციო ნაშრომის მიღებიდან 2 კვირის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს აცნობებს გადაწყვეტილებას, დისერტაციის დაცვაზე დაშვება/არ დაშვების შესახებ, რის საფუძველზეც დისერტანტს ეცნობება წარადგინოს თუ არა ავტორეფერატი ბეჭდური სახით.

20.7. რეცენტუნტებთან ფორმდება ხელშეკრულება, ანონიმურობა შენარჩუნებულია გაუთქმელობის დოკუმენტით სადისერტაციო საბჭოში რეცენზიის ჩაბარებამდე და მომსახურება ანაზღაურდება კონსერვატორიის მიერ დადგენილი ტარიფის მიხედვით.

20.8.1. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დანიშნავს მესამე რეცენზენტს.

20.8.2. რეცენზენტის დასკვნაში უნდა აისახოს:

- სადოქტორო თემის აქტუალობა და სიახლე;
- კვლევის მეცნიერული დონე;
- გამოყენებული მეთოდოლოგიის რელევანტურობა;
- მიღებული შედეგების სანდოობა;
- დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.
- შეფასება სადოქტორო ნაშრომის შესაბამისი წესით, რომელიც გათვალისწინებული იქნება სადისერტაციო კომისიის მიერ

20.9. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;

ბ) დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ.

20.10. თუ ორიდან ერთი რეცენზენტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დანიშნავს მესამე რეცენზენტს.

20.11. დისერტაციის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება, სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.

20.12. სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი.

20.13. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს ახალ რეცენზენტებს.

20.14.1. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

20.14.2. დისერტანტს აქვს უფლება მოითხოვოს ახალი ფარული რეცენზენტების დანიშვნა ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაციის იგივე რეცენზენტების მიერ დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში;

20.14.3. სადისერტაციო საბჭოს სამდივნომ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს რეცენზენტთა გადაწყვეტილებები. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს რეცენზენტთა დასკვნებს.

20.14.4. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა კონსერვატორიის ბიბლიოთეკას და არქივს.

მუხლი 21. დისერტაციის დაცვის თარიღი და კომისიის შემადგენლობა

21.1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

21.2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან მინიმუმ 50-კალენდარული დღის შემდეგ.

21.3. დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიის გადაგზავნას კომისიის წევრებისათვის, ასევე კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში დისერტაციისა და ავტორეფერატის ერთი ბეჭდური ვერსიის გადაცემას.

21.4. დოქტორანტს უნდა ეცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვის დანიშვნის შესახებ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი, დრო, ადგილი და გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა დაცვის მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე.

21.5. სადისერტაციო საბჭოს სამდივნო წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ავრცელებს ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ.

მუხლი 22. სადისერტაციო საბჭო

22.1. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან გათანაბრებული („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად) კვალიფიკაციის მქონე კონსერვატორიის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან .

22.2. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა, სულ მცირე, ნახევარზე ერთით მეტი წევრი.

22.3. სადისერტაციო საბჭოს კენჭისყრის შედეგად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.

22.4. სადისერტაციო საბჭო:

- ირჩევს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და სწავლულ მდივანს;

- ამტკიცებს დოქტორანტის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს);
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას და სათაურს;
- განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და მის თავმჯდომარეს;
- ამტკიცებს დისერტაციის დაცვის თარიღს და ნიშნავს სხდომას;
- განიხილავს დისერტაციის დაცვის შედეგებს, შესაბამისი კომისიების დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
- იღებს გადაწყვეტილებას სათანადო ექსპერტიზის საფუძველზე პლაგიატის დადგენის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის არ მინიჭების და/ან ჩამორთმევის შესახებ;
- განიხილავს დისერტაციასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
- ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

22.5. სადისერტაციო საბჭოს საზაფხულო არდადეგები იწყება 20 ივნისიდან და გრძელდება 1 ოქტომბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში შეჩერებულია დისერტაციის მიღებასთან, განხილვასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

22.6. საბჭოს წევრთა სხდომაზე დასწრება ფიქსირდება დასწრების ფურცელში. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და სწავლული მდივანი.

მუხლი 23. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

23.1. სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

23.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (შემდგომში თავმჯდომარე) 3 წლის ვადით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა ფარული კენჭისყრით. ერთი კანდიდატი ზედიზედ ორჯერ შეიძლება იქნას არჩეული. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი.

23.3. თავმჯდომარის კანდიდატურას ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო;

23.4. თავმჯდომარის რეკომენდაციით სადისერტაციო საბჭოს წარედგინება მოადგილისა და სწავლული მდივნის კანდიდატურები და ხდება მათი დამტკიცება;

23.5. საბჭოს თავმჯდომარე:

- იწვევს საბჭოს სხდომებს;
- სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სწავლული მდივნისა და მოადგილის კანდიდატურებს;
- საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა;
- თავმჯდომარე უფლებამოსილია სწავლული მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს;
- რწმუნების ვადის გასვლამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე თავმჯდომარე უნდა წარდგეს აკადემიური საბჭოს წინაშე შემაჯამებელი ანგარიშით;
- ნიშნავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის ფარულ რეცენზენტებს.

23.6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის დაუსწრებლობის ან მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით განხორციელებული სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადა შეესაბამება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას.

მუხლი 24. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის უფლებამოსილება

24.1. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი; მისი უფლებამოსილების ვადა შეესაბამება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას;

24.2. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო კომისიის ორგანიზაციულ და ტექნიკურ საქმიანობას:

- პასუხისმგებელია საბჭოს არქივისა და საქმის წარმოებაზე;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას კონსერვატორიის ვებ-გვერდზე;
- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ვიდეოგადაღებას;
- საბჭოს წევრებს სხდომამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე აცნობს დღის წესრიგს;
- უზრუნველყოფს კონსერვატორიის ბიბლიოთეკისთვის დისერტაციის ერთი პირის და ავტორეფერატის 3 პირის, ასევე ელექტრონული ვერსიის გადაცემას სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 10 სამუშაო დღით ადრე;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისთვის გადაცემას მათი დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა. უზრუნველყოფს დისერტანტისთვის რეცენზენტების დასკვნების გადაცემას დისერტაციის დაცვამდე 2-3 (ორი-სამი) კვირით ადრე;
- სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას უზრუნველყოფს სადისერტაციო დაცვის კომისიის წევრებს დაცვამდე არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა;
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 10 (ათი) დღით ადრე უზრუნველყოფს დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ავტორეფერატის განთავსებას კონსერვატორიის ვებ-გვერდზე;
- ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში (მათ შორის სტენოგრაფიული ანგარიშის გაკეთებაში);

24.3. აკადემიური ხარისხის მაძიებლისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდგომ, წოდების მინიჭების დამადასტურებელი დიპლომისთვის რექტორის ბრძანების გაცემამდე - დისერტანტს მოსთხოვოს კონსერვატორიის ბიბლიოთეკისთვის გადაცემული ეგზემპლარების და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის მისი სადისერტაციო ნაშრომის (ნაბეჭდი 1 ეგზემპლარით) და ავტორეფერატის (ნაბეჭდი 2 ეგზემპლარით) გადაცემის დამადასტურებელი საბუთი.

24.4. ეროვნულ ერთიან ელექტრონულ პორტალზე განთავსოს დაცული დისერტაცია.

24.5. უზრუნველყოს ანონიმურ ექსპერტებთან საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

მუხლი 25. სადისერტაციო კომისია

25.1. სადისერტაციო კომისია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის.

25.2. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს სადისერტაციო თემის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7 წევრისაგან, რომელსაც სადისერტაციო საბჭო ადგენს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოდან. სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი, აგრეთვე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს დარგის მინიმუმ 1 სპეციალისტი. კომისიის შემადგენლობაში შედიან სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისი სამეცნიერო დარგის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად ასევე, კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყვნენ გარე შემფასებლები, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები.

25.3. შემადგენლობაში არ შედის:

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/მოადგილე;
- სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

25.4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე.

25.5. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

მუხლი 26. სადისერტაციო კომისიის სხდომა

26.1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე.

26.2. სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4 და მეტი.

26.3. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კომისიის სხდომას, კომისიას უზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.

26.4. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კომისიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს დაცვის ახალ თარიღს იმავე ან შემდეგ სემესტრში.

26.5. ერთი სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.

26.6. სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შეფასების უწყისით (იხ. დანართი № 12);

26.7. სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება და დისერტაციის დაცვის პროცედურა აისახება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.

მუხლი 27. დისერტაციის დაცვა

27.1. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობებს დისერტანტის ვინაობას, დისერტაციის თემას და ხელმძღვანელს, რეცენზენტების, კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების ვინაობას.

27.2. სწავლული მდივანი დამსწრე საზოგადოებას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს (მოკლე მიმოხილვა), და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

27.3. დისერტაციის დაცვის კომისიის თავმჯდომარე უძღვება დისერტაციის დაცვის პროცედურას.

27.4. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას (შესაბამისი ფორმატით), სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

27.5. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარდგენას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა სასურველია გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: სლაიდები, ვიდეო-აუდიო ნიმუშები და ა.შ.

27.6. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს რეცენზენტებს, რათა მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნონ საკუთარი დასკვნა (უცხოელი რეცენზენტის დაუსწრებლობის შემთხვევაში, მის რეცენზიას საზოგადოებას აცნობს სწავლული მდივანი - რეცენზია თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე).

27.7. კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს მიმართავს, რომ რეცენზენტების შეკითხვებსა და შენიშვნებს უპასუხოს (არაუმეტეს 60 წუთისა).

27.8. დოქტორანტის მიერ რეცენზენტთა კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიმართავს დამსწრე საზოგადოებას რომ ჩაერთონ სამეცნიერო კამათში, რომლის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს 40 წუთს; დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

27.9. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, მათი სიტყვა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს;

27.10. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს შესაძლოა მიეცეს დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

27.11. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე (შეფასების პროცედურა გრძელდება მაქსიმუმ 30 წუთი):

- სწავლული მდივანი კომისიის წევრებს ურიგებს ფარული კენჭისყრის ბიულეტენებს (იხ. დანართები N13), რომლის მიღება დასტურდება დასწრების სიაში ხელმოწერით (იხ. დანართები N14);

- ფარული კენჭისყრა ხორციელდება კომისიის წევრთა მიერ დაბეჭდილ ყუთში ბიულეტენების ჩაყრით, რომელსაც ითვლის კომისიის მიერ არჩეული მდივანი.
- დისერტაციის დაცვის საბოლოო შედეგი ფორმდება დისერტაციის დაცვის შეფასების უწყისით, რასაც ხელს აწერს კომისიის დამსწრე ყველა წევრი.

27.12. კომისიის მიერ დასკვნის გამოტანის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე მოიწვევს სადისერტაციო საბჭოს წევრებს, დისერტანტს და დამსწრე საზოგადოებას, რათა გააცნოს სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება.

27.13. დისერტაციის დაცვის მსვლელობა, გარდა კომისიის დახურული სხდომისა, ფიქსირდება აუდიო-ვიდეო ტექნიკური საშუალებებით, რის საფუძველზე ფორმდება სადისერტაციო სხდომის ოქმი. შესაბამისად, სხდომის ოქმს უნდა ახლდეს დისერტაციის დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, რომელიც შეინახება დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 28. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

28.1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება ერთჯერადად, კონფიდენციალურად, ას (100) ქულიანი სისტემით, რომელიც უწყისში ფორმდება სიტყვიერად.

28.2. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს შედეგის მიღწევის დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. დანართი №15).

28.3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ მდივანს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

28.4. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

28.5. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91 ქულა და მეტი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
- საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა.

28.6. დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – 41- 50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

28.7. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად.

28.8. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო

საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

28.9. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და უწყდება დოქტორანტის სტატუსი.

28.10. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს, გაეცნოს სადისერტაციო კომისიის საბოლოო წერილობით გადაწყვეტილებას.

მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

29.1. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირს სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც დასტურდება დოქტორის დიპლომის გაცემით კონსერვატორიის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

29.2. დიპლომის და დიპლომის დანართის მომზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს კონსერვატორიის რექტორი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 30. აპელაცია

30.1. სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ან არ მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, აკადემიური ხარისხის მაძიებელს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოში წარადგინოს აპელაცია, მოითხოვოს სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმის პირი და გააპროტესტოს კენჭისყრის შედეგები, თუ მისი აზრით, დაცვის დროს მოხდა პროცედურული დარღვევები.

30.2. სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის წერილობითი განცხადების მიღებიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში, შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოსთხოვოს დოქტორანტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას. დადგენილ ვადაში დოქტორანტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოდგენლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

30.3. დოქტორანტის წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს კონსერვატორიის რექტორს.

30.4. სააპელაციო კომისია შედგება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ სამი წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელსაც მონაწილეობა მიღებული ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ან შეფასების პროცესში.

30.4. სააპელაციო კომისია ვალდებულია მისი შექმნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში შეისწავლოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხელახლა შეაფასოს სადისერტაციო ნაშრომი.

30.5. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომს. სააპელაციო კომისიის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (იხ. დანართი №16).

მუხლი 31. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

31.1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატის, აკადემიური კეთილსინდისიერების და/ან სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

31.2. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭო ვალდებულია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

მუხლი 32. სადოქტორო პროგრამის მხარდამჭერი მექანიზმები და ფინანსური უზრუნველყოფა

32.1. კონსერვატორია სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით-საშემსრულებლო უსდ-ებთან/ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/, ფესტივალებთან/კონკურსებთან, საჯარო და კერძო სექტორთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან და ხელს უწყობს დოქტორანტებს პროფესიულ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში და კარიერულ წინსვლაში;

32.2. კონსერვატორია ერასმუს + პროგრამის (და არა მარტო) და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობს საერთაშორისო მასშტაბით უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებთან და ხელს უწყობს დოქტორანტების და მათი ხელმძღვანელების გაცვლით პროგრამებსა და პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობას. აქტივობების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად იგზავნება კორპორატიული ფოსტის მეშვეობით და აისახება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

32.3. კონსერვატორია დოქტორანტებს მათი ინდივიდუალური კვლევის გეგმის საფუძველზე სთავაზობს ფინანსურ უზრუნველყოფას კურიკულუმს მიღმა ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ; აქტივობებში ჩართვას უზრუნველყოფს დოქტორანტის ხელმძღვანელი და/ან სამეცნიერო, საერთაშორისო დეპარტამენტი, კონსერვატორიის ბიბლიოთეკა.

32.4 კონსერვატორიის სამეცნიერო და საერთაშორისო დეპარტამენტი, დეკანატი და ბიბლიოთეკა დოქტორანტს/ხელმძღვანელებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერკლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;

32.5. ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს. კერძოდ:

32.5.1. შემოქმედებითი პროექტის/გამოცემის/კონფერენციის სარეგისტრაციო (როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის ფარგლებში) და/ან მგზავრობის თანხის დაფინანსება (საერთაშორისო - ძირითადად ნაწილობრივ და ქვეყნის ფარგლებში - 100%). ასევე, ავტორეფერატის თარგმანის უზრუნველყოფა და დაბეჭდვა კონსერვატორიის სტამბაში (50 ეგზეპლიარი);

32.5.2. სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის საკონცერტო დარბაზით უზრუნველყოფა დოქტორანტის დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად (დიდი დარბაზი, მცირე დარბაზი, კამერული დარბაზი, კონსერვატორიის მუზეუმი);

32.5.3. საშემსრულებლო და საკომპოზიციო მიმართულების დოქტორანტებისთვის და მათი ხელმძღვანელებისთვის ორკესტრთან შესრულების შესაძლებლობა მემორანდუმის ფარგლებში;

32.5.4. საკომპოზიციო პროგრამის დოქტორანტებისთვის თსკ-ს სტუდენტურ ორკესტრთან, თანამედროვე მუსიკის ანსამბლთან, საოპერო სტუდიასთან, კონსერვატორიის გუნდთან საკუთარი ნაწარმოების შესრულება და დოქტორანტის საავტორო კონცერტის მომზადებაში/შესრულებაში კონსერვატორიის პედაგოგების/სტუდენტების მონაწილეობა;

32.5.5. კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, ხმის ჩამწერი სტუდიის გამოყენება შემოქმედებითი/სამეცნიერო პროექტის ფარგლებში;

32.5.6. დოქტორანტებისთვის და მათი ხელმძღვანელებისთვის ლოლა-სოფტის საშუალებით საერთაშორისო პროექტში ჩართვა;

32.5.7. დოქტორანტთან შეთანხმების საფუძველზე დისერტაციის თარგმნა ან კონსერვატორიის სტამბის გამოყენება ავტორეფერატისა და დისერტაციის დასაბეჭდად ან დასაქმება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

მუხლი 33. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე. 2024 წლის 30 აგვისტომდე ჩარიცხული აქტიური ან სტატუსშეჩერებული დოქტორანტების შემთხვევაში სასწავლო კომპონენტის შესრულება განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტის “2023 წლამდე მოქმედი სადოქტორო პროგრამების 2023 წელს აკრედიტებულ პროგრამებზე დოქტორანტთა გადაყვანის მექანიზმი” შესაბამისად (იხ. დადგენილება -).

კვლევითი კომპონენტისადმი არსებული მოთხოვნები არ ვრცელდება კომპოზიციის და სამუსიკისმცოდნეო კვლევების პროგრამის იმ დოქტორანტებზე, ვინც 2025 წლის საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს წინასწარი დაცვისთვის შესაბამის მიმართულებაზე.

1.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე დებულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინების საფუძველზე, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და კონსერვატორიის წესდების შესაბამისად.

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის
რეგისტრაციის ფორმა

აპლიკანტის გვარი, სახელი /გარკვევით/:

დაბადების თარიღი:

პირადი ნომერი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

მისამართი:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

სპეციალობა:

მომავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის თანხმობა:

აკად. თანამდებობა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

მომავალი შემოქმედებითი ხელმძღვანელის თანხმობა:

(პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „კომპოზიცია“):

აკად. თანამდებობა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

- თანხმობას ვაცხადებ გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის ვიდეო-გადაღებაზე.
- ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემს მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა:

Curriculum Vitae

პერსონალური ინფორმაცია	
სახელი	
გვარი	
მისამართი	
ტელეფონი	
ელექტრონული ფოსტა	
სქესი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	

განათლება		
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

სამუშაო გამოცდილება	
დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა	თარიღი

პერსონალური უნარები	
კომუნიკაციის უნარი	
მშობლიური ენა	
სხვა ენები	
ორგანიზაციული/მენეჯერული უნარები	
კომპიუტერული უნარები	

დამატებითი ინფორმაცია	
სტატიები, პუბლიკაციები	
კონცერტებში მონაწილეობა	
ფესტივალებში მონაწილეობა	
კონკურსებში მონაწილეობა	
დისკები / სანოტო გამოცემები	
პრეზენტაციები	
პროექტები	
კონფერენციები	
სემინარები	
მიღწევები/პრემიები/ჯილდოები	
წევრობა	

(დოკუმენტური დადასტურება წარმოადგინეთ პორტფოლიოს სახით)

თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკოლოგიური კვლევები“
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი

აპლიკანტის სახელი, გვარი:

მომავალი ხელმძღვანელის სახელი, გვარი:

განცხადებაში მითითებული სპეციალობა

- მუსიკის თეორია
- მუსიკის ისტორია
- საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია
- ეთნომუსიკოლოგია
- საეკლესიო მუსიკოლოგია

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:

საკვლევი თემა/პრობლემა (განსაზღვრეთ თქვენი საკვლევი თემა/პრობლემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა)

ლიტერატურის მიმოხილვა (წარმოადგინეთ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის/პრობლემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას)

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 1000

კვლევის მიზანი, ამოცანები, საკვლევი საკითხები

თემის და ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრეთ თქვენი

- კვლევის მიზანი და ამოცანები
- საკვლევი პრობლემატიკა

კვლევის მეთოდები (აღწერეთ კვლევის მეთოდები, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება კვლევის მიზნის მიღწევა, საკვლევი პრობლემატიკის გამოკვეთა)

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300

--

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

--

თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი

აპლიკანტის სახელი, გვარი:

მომავალი ხელმძღვანელის სახელი, გვარი:

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:

სამოტივაციო წერილი (აქ უნდა იყოს აღწერილი სადისერტაციო კვლევის თემატიკის მიმართულებით თქვენი ინტერესის საფუძველი, გამოცდილება და ა.შ.) (არაუმეტეს 500 სიტყვისაა)

1. კვლევითი თემის/საკითხის აღწერა, აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება (პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; კავშირი აპლიკანტის შემოქმედებასთან, შემოთავაზებული კვლევის მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 1000)
2. კვლევის მიზნები და ამოცანები (აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ეტაპები განსაზღვრული დოქტორანტურაში სამწლიანი სწავლების პერიოდში და შესასრულებელი სამუშაოები მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით).
3. კვლევის მეთოდოლოგია (წარმოადგინეთ დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია, მიდგომები და შეზღუდვები და მათი შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.)
4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური გამოყენებადობა.

თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
საშემსრულებლო ფაკულტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი

აპლიკანტის სახელი, გვარი:

მომავალი ხელმძღვანელის სახელი, გვარი:

განცხადებაში მითითებული სპეციალობა

- სოლო ფორტეპიანო
- საკონცერტმანისტერო დაოსტატება
- კამერული ანსამბლი
- სიმებიანი საკრავები
- ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები
- აკადემიური გუნდის დირიჟორობა
- აკადემიური სიმღერა

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:

<p>საკვლევი თემა/პრობლემა (განსაზღვრეთ თქვენი საკვლევი თემა/პრობლემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა)</p> <p>ლიტერატურის მიმოხილვა (წარმოადგინეთ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის/პრობლემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას)</p> <p>სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 1000</p>

კვლევის მიზანი, ამოცანები, საკვლევი საკითხები

თემის და ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრეთ თქვენი

- კვლევის მიზანი და ამოცანები
- საკვლევი პრობლემატიკა

კვლევის მეთოდები (აღწერეთ კვლევის მეთოდები, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება კვლევის მიზნის მიღწევა, საკვლევი პრობლემატიკის გამოკვეთა)

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკოლოგიური კვლევები“
 სპეციალობა _____
საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები
 შეფასება ხდება ასქულიანი სისტემით, დადებითი ქულა: 71-100

აპლიკანტის სახელი, გვარი:

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი და სტატია/რეფერატი (დოკუმენტაცია)	
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:	
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:	ქულა
საკლავი თემა – რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული საკლავი თემა; რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი აქტუალურობა; (0-3 ქულა)	
ლიტერატურის მიმოხილვა – რამდენად სწორად ასახავს მიმოხილვა არსებულ ცოდნას საკლავი თემის/პრობლემის შესახებ, რამდენად თანმიმდევრულია მიმოხილვა, რამდენად სწორად არის შერჩეული წყაროები, რამდენად საკმარისად ასახავს მიმოხილვა ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას; (0-5 ქულა)	
კვლევის მიზანი – რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი და რამდენად ეფუძნება ის ლიტერატურის მიმოხილვას; საკლავი საკითხები/პრობლემატიკა – რამდენად შეესაბამება საკლავი პრობლემატიკა კვლევის მიზანს, რამდენად სწორად და ნათლად არის ჩამოყალიბებული; (0-5 ქულა)	
კვლევის მეთოდები – რამდენად სწორად არის შერჩეული კვლევის მეთოდები, რამდენად სრულად და მკაფიოდ არის აღწერილი მეთოდოლოგია; (0-2 ქულა)	
კვლევის მოსალოდნელი შედეგები – რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის მოსალოდნელი შედეგები; (0-3 ქულა)	
ენა და სტილი – რამდენად თანმიმდევრულია არგუმენტაცია და მსჯელობა, რამდენად არის დაცული აკადემიური ენისა და სტილის სტანდარტები (0-2 ქულა)	
საპროექტო განაცხადის შეფასება (0-20)	

სტატიის/რეფერატის სათაური	
სტატიის/რეფერატის შეფასება (0-10 ქულა)	

პრეზენტაცია და დისკუსია (გასაუბრება)	
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:	
ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები	ქულა
<p>პრეზენტაცია – ზეპირი გამოცდის დროს აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს თხუთმეტწუთიანი PP-პრეზენტაცია მის მიერ წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის შესახებ. პრეზენტაციის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მისი თანმიმდევრულობა და ფოკუსის სიცხადე (0-10 ქულა)</p>	
<p>დისკუსია – სადოქტორო კვლევითი განაცხადის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება დისკუსია. დისკუსიისას განხილული იქნება საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები. დისკუსიისას შეფასდება სადოქტორო პროგრამის კანდიდატის უნარი უპასუხოს დარგობრივი კომისიის წევრების კითხვებს კომპეტენტურად, არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად. (0-60 ქულა)</p>	
ზეპირი გამოცდის შეფასება (0-70)	

საბოლოო შეფასება (0-100)	
---------------------------------	--

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“
 საპროექტო განცხადის შეფასების კრიტერიუმები
 შეფასება ხდება ასქულიანი სისტემით, დადებითი ქულა: 71-100

აპლიკანტის სახელი, გვარი:

საკუთარი შემოქმედების პრეზენტაცია (60 ქულა)		
შეფასების კრიტერიუმები	შეფასება	ქულა
ნაწარმოებების ზოგადი ჩანაფიქრი და ორიგინალობა		0-10
საკომპოზიციო ტექნიკა, მუსიკალური მასალის ხარისხი და დრამატურგიული განვითარების უნარი		0-20
გამოყენებული ინსტრუმენტების, გაორკესტრების ხერხების, ელექტრონული კომპოზიციის შემთხვევაში კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობების ფლობა		0-10
მასალის ვიზუალური დაფიქსირების (ნოტაცია), შემსრულებლისთვის და მსმენელისთვის მიწოდების ხარისხი		0-10
პრეზენტაციის უნარი		0-10
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი (40 ქულა).		
სათაური:		
შეფასების კრიტერიუმები	შეფასება	ქულა
თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე		0-15
თეორიული და პრაქტიკული ღირებულება		0-15
ენობრივი გამართულობა და პრეზენტაციის უნარი		0-10
საბოლოო შეფასება (0-100)		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - სოლო ფორტეპიანო
შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
შემოქმედებითი ინდივიდუალობა		
ნაწარმოების ძირითადი მახასიათებლის შესრულება (ტექსტი, დინამიკა, აგოგიკა, არტიკულაცია, ფრაზირება, ჟღერადობა, რითმი)		
ტექნიკური სრულყოფილება (ნაწარმოების ფიზიკური ასპექტების რეალიზაცია)		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
ბგერათწარმოების სპეციფიკური ხერხები		
შეფასება		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - საკონცერტმისტერო დაოსტატება
 შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

საკონცერტო პროგრამა: სულ 40 ქულა, დადებითი ქულა 37-40		
შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
მუსიკალური ნაწარმოების ინტერპრეტაცია [ეპოქის, სტილის, ფორმის, ჟანრულ-დრამატურგიული თავისებურებების გათვალისწინება; ტემპის, ჰარმონიული და რიტმული საყრდენის გააზრება].		
სოლისტის პარტიის ზუსტი აღქმა/რეაგირება [სიტყვიერი ტექსტის აზრობრივი აქცენტების გააზრება; სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის სინთეზი; სოლისტის ტექნიკური სირთულეების (ვოკალური ინტონაცია, სუნთქვა, საკრავიერი შტრიხები, ა.შ.) გათვალისწინება; სოლისტის ტემბრულ და რეგისტრულ ბუნებასთან თანხვედრა/შერწყმა; ჟღერადობის თანაფარდობა (ბალანსი) აკუსტიკური პირობების შესაბამისად]		
ფორტეპიანოსთვის გადატანილი საორკესტრო ფაქტურის (საოპერო ფრაგმენტის) ორკესტრული გააზრების უნარი		
პიანისტურ-საშემსრულებლო საშუალებებისა და ბგერათწარმოების ხერხების ფლობა, ტექნიკური სრულყოფილება		
შეფასება		

სოლისტთან მუშაობა: სულ 20 ქულა, დადებითი ქულა 18-20		
შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
ახალი (უცნობი) კამერულ-ვოკალურ ნაწარმოების ინტერპრეტაცია ეპოქის, სტილის, ფორმის, ჟანრულ-დრამატურგიული თავისებურებების გათვალისწინებით [სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის აზრობრივი აქცენტების გააზრება, ტემპო-რიტმის განსაზღვრა; სოლისტთან ერთად მუსიციანობისას ვერტიკალში აზროვნების უნარი]		
სოლისტთან (მომღერალთან) შემოქმედებითი კომუნიკაციის, ნაწარმოების საშემსრულებლო ამოცანებსა და ინტერპრეტაციაზე მუშაობის უნარი სოლისტისთვის ნაწარმოების სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის შინაარსობრივი, მხატვრულ - საშემსრულებლო ამოცანების განსაზღვრა; სოლისტის ტექნიკური სირთულეების ამოცნობა და მათი გადაჭრის გზების ძიება; სოლისტის შესრულების ანალიზისა და კორექტირების უნარი]		
შეფასება		

სულ შეფასება (0-60)	
----------------------------	--

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - კამერული ანსამბლი
 შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
ანსამბლურობის შეგრძნება		
ნაწარმოების მუსიკალური შესრულება		
ტექნიკური სრულყოფა		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
არტისტიზმი		
შეფასება		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - საორკესტრო საკრავები (სიმებიანი)
 შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
ბგერის ხარისხი		
ნაწარმოების ძირითადი მახასიათებლების შესრულება (ინტონაცია, რიტმი, დინამიკა, არტიკულაცია - შტრიხები, ფრაზირება)		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
ტექნიკური სრულყოფა (ნაწარმოების ფიზიკური ასპექტების რეალიზაცია)		
შემოქმედებითი ინდივიდუალურობა		
შეფასება		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - საორკესტრო საკრავები (ჩასაბერი და დასარტყამი)
 შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
ნაწარმოების მუსიკალური შესრულება		
ტექნიკური სრულყოფა (ინტონაცია, რიტმი, შტრიხები, არტიკულაცია, დინამიკა)		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
შემოქმედებითი ინდივიდუალობა		
ანსამბლურობის შეგრძნება		
შეფასება		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - აკადემიური გუნდის დირიჟორობა
 შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
საკონცერტო პროგრამის შესრულება საკუთარ საგუნდო კოლექტივთან სულ 30 ქულა, დადებითი ქულა 27-30		
ნაწარმოების ძირითადი მახასიათებლების შესრულება		
ბგერათწარმოების სპეციფიკური ხერხები (ტექსტი, დინამიკა, აგოგიკა, არტიკულაცია, ფრაზირება, ტემბრი...)		
ტექნიკური სრულყოფა		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
არტისტიზმი		
შეფასება		
გუნდთან მუშაობა სულ 15 ქულა, დადებითი ქულა 14-15		
მუშაობა საგუნდო ხმოვანების ელემენტებზე		
მუშაობა ვოკალურ-საგუნდო ტექნიკაზე		
მუშაობა მხატვრული გამომსახველობის ხერხებზე		
შეფასება		

დირიჟორობა ორ როიალთან სულ 15 ქულა, დადებითი ქულა 14-15		
ტექნიკური სრულყოფა (შტრიხები, დინამიკური ნიუანსები, მეტრი, ტემპორიტმი და სხვა)		
ანსამბლორობის შეგრძნება (ორ კონცერტმასტერთან) (იგულისხმება ანსამბლური, ერთად შენელების, აჩქარების, აუფ-ტაქტის, დაწყების, დამთავრების, ანსამბლური შესრულების/დირიჟორობის სირთულეების დაძლევა, დროის შეგრძნება და სხვა).		
ნაწარმოების მუსიკალური შესრულება არტისტიზმი		
ფორმისა და სტილის შეგრძნება		
შეფასება		

სულ შეფასება (0 – 60)	
------------------------------	--

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
 საშემსრულებლო ფაკულტეტი
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
 სპეციალობა - აკადემიური სიმღერა
შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
 (კომპონენტი ფასდება 60 ქულით, დადებითი ქულა: 55-60)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმები	ხარვეზები მონიშნეთ: ✓	კომენტარი
ნაწარმოების დამაჯერებელი ინტერპეტაცია		
ფორმის და სტილის შეგრძნება		
ტექნიკური სრულყოფა		
შემოქმედებითი ინდივიდუალობა		
შეფასება		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
საშემსრულებლო ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

სპეციალობა: _____

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

(კომპონენტი ფასდება 40 ქულით, დადებითი ქულა: 36-40)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის სათაური:

სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი (დოკუმენტაცია)		
სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:	ქულა	
საკვლევი თემა – თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე	0-5	
კვლევის მიზანი/ამოცანები – რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი/ამოცანები	0-5	
საკვლევი საკითხები/პრობლემატიკა – რამდენად შეესაბამება საკვლევი პრობლემატიკა კვლევის მიზანს, რამდენად სწორად და ნათლად არის ჩამოყალიბებული;	0-5	
კვლევის მეთოდები/ლიტერატურის მიმოხილვა – რამდენად სწორად არის შერჩეული კვლევის მეთოდები, რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი მეთოდოლოგია; რამდენად სწორად არის შერჩეული წყაროები	0-5	
საპროექტო განაცხადის შეფასება (0-20)		

პრეზენტაცია და დისკუსია (ზეპირი)		
ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები (ზეპირი)	ქულა	
